

Geo დაიჯესტი

№7-8/ ივლისი-აგვისტო, 2021 წ.



სარჩევი

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელინსკიმ ქვეყნის სამხედრო მრეწველობის განვითარების სტრატეგია დაამტკიცა.....	3
ესტონეთს საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა სურს.....	4
პეტრას დეკლარაცია - რეგიონალური მიდგომა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპულ მისწრაფებებს ხელს შეუწყობს	6
ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 53-ე რაუნდი.....	8
ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს დიალოგის მე-14 შეხვედრა გაიმართა.....	10
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სრულად ვაქცინირებულებისთვის შედავათებს აწესებს	11
საქართველოს იუსტიციის სახლმა კოვიდბარათების გაცემა დაიწყო	12

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისის“ თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების დირექტორი

უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელინსკიმ ქვეყნის სამხედრო მრეწველობის განვითარების სტრატეგია დაამტკიცა



უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელინსკიმ ქვეყნის სამხედრო მრეწველობის განვითარების სტრატეგია [დაამტკიცა](#).

სტრატეგიის რეალიზაცია დაგეგმილია სამ ეტაპად და გათვლილია 10 წელიწადზე.

როგორც განცხადებაში აღინიშნება, სტრატეგია განსაზღვრავს უკრაინის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების პოლიტიკის მიმართულებებს, მისი რეფორმირებისა და გარდაქმნის გზებს არსებული საფრთხეების გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე წარმოდგენილი იქნება სამოქმედო გეგმები სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებისა და სექტორში იმპორტის ჩანაცვლების მიმართულებით.

სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფო სამხედრო-სამრეწველო წარმოების პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს თანამედროვე კორპორატიული მართვლობის სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამხედრო მრეწველობის განვითარება, რომელსაც ექნება უნარი დააკმაყოფილოს უკრაინის შეიარაღებული ძალების და სხვა სამხედრო ფორმირებების არსებული და სამომავლო მოთხოვნილებები სამხედრო ტექნიკური აღჭურვილობის მიმართულებით.

სტრატეგიის, მიხედვით განვითარების პრიორიტეტებს წარმოადგენს სამეცნიერო-საწარმოო ბაზის ტექნიკური გადაიარაღება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის შექმნა, ზუსტი შეიარაღების სისტემების განვითარება,

რადიოელექტრონული ბრძოლის და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შექმნა. ასევე, გემთმშენებელი სექტორის განვითარება და ვერტმფრენების წარმოების გაუმჯობესება.

ინოვაციური საქმიანობა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში მიმართული უნდა იყოს საწარმოო ბაზის განახლებაზე, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით სპეციალიზაციების და ორგანიზაციულობის ახალ სახეობებზე გადასვლის გზით.

სტრატეგიის რეალიზაცია დაგეგმილია სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე 2021-2022. განსაზღვრულია ამოცანების შესრულება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის პრიორიტეტულ მიმართულებებზე, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის რეფორმირების გეგმის შემუშავება და დამტკიცება; მეორე ეტაპი- 2023-2024 ითვალისწინებს სამხედრო საწარმოების განვითარების გეგმების და პროექტების რეალიზაციას. მესამე ეტაპზე 2025-2030 გაგრძელდება და მიზნად ისახავს იმპორტის ჩასანაცვლებლად ახალი ტექნოლოგიების ათვისებას. ასევე გაგრძელდება სექტორული დივერსიფიკაცია, ტექნიკური გადაიარაღება და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოების სამეცნიერო-საწარმოო ბაზის განვითარება.

აქვე უნდა ითქვას, რომ ცოტა ხნით ადრე ვლადიმერ ზელინსკიმ განკარგულებით ძალაში შეიყვანა უკრაინის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება თავდაცვის სფეროში ხარჯების გაზრდის შესახებ, რომლის მიხედვითაც უკრაინის ხარჯები მშპ-ს თან მიმართებაში 5% უნდა შეადგენდეს 2022-2024 წლებში.

ესტონეთს საკუთარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შექმნა სურს



ესტონეთის პრეზიდენტის კერსტ კაპიულაიდის განცხადებით, ესტონეთი საშუალო მოქმედების საკუთარი საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნას ისურვებდა.

ესტონეთის პრეზიდენტმა ევროკავშირს შესთავაზა რესპუბლიკაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის დაფინანსება, საშუალო მოქმედების საზენიტო სისტემების შესყიდვის შედეგად. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველი პრეზიდენტის აზრით, რუსეთისგან მომდინარე საფრთხეებია და მისი რეგიონში შეკავების აუცილებლობაა. როგორც ცნობილია ბოლო წლებში რუსეთის სამხედრო საჰაერო საშუალებებმა არა ერთხელ დაარღვიეს ბალტიის წვერი ქვეყნების საჰაერო სივრცე.

პრეზიდენტის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ბრიუსელში დისკუსიების დროს არა ერთხელ აღინიშნა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები მშპ-ს 2%-ზე მეტს ხარჯავენ თავდაცვაზე, ამის მიუხედავად დღემდე ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ საჰაერო თავდაცვის საშუალებები და ამ მხრივ მთლიანად ალიანსის შესაძლებლობებსა და რეაგირებაზე არიან დამოკიდებულები.

აღსანიშნავია, რომ კერსტი კაპიულაიდის მოწოდება არ არის პირველი. რუსეთისგან თავდასაცავად აღნიშნული საჰაერო თავდაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობაზე განცხადებები ბალტიისპირეთის ქვეყნების სამივე სახელმწიფოს პირველმა პირებმა აქამდე უკვე გააკეთეს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემა პერმანენტულად წინა პლანზე წამოიწევს ხოლმე აღნიშნული ქვეყნების მხრიდან, ალიანსი ბალტიისპირეთის ქვეყნების საჰაერო თავდაცვას ავიაციის მეშვეობით ახორციელებს, რომლებიც როტაციით იმყოფებიან მათ ტერიტორიაზე.

საჰაერო თავდაცვის ეშელონიზირებული სისტემის შექმნა კომპლექსური საკითხია და მისი კომპონენტების განვითარება სერიოზულ ფინანსურ ინვესტიციებს საჭიროებს, ამიტომ ნაკლებ სავარაუდოა, რომ აღნიშნულ მოთხოვნებზე უახლოეს პერიოდში კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას.

ხათუნა ბურკაძე, „კეოქეისის“ ამერიკისმცოდნეობისა და ევროატლანტიკური მიმართულების დირექტორი

პეტრას დეკლარაცია - რეგიონალური მიდგომა საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპულ მისწრაფებებს ხელს შეუწყობს



<https://civil.ge/ka/archives/433041>

ამა წლის 19 ივლისს „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ სამი ასოცირებული ქვეყნის - საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის პრეზიდენტებმა პეტრას ციხეზე ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი.

„ადმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ტრიოს“ მიერ საერთო ევროპული მისწრაფებების დეკლარირება ხელს შეუწყობს საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ევროპული მიზნების განხორციელებას და შესაბამისად, მათი ევროპული მომავლისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

„ადმოსავლეთ პარტნიორობის ასოცირებული ტრიოს“ მიერ ხელმოწერილი ბათუმის სამიტის დეკლარაცია ადასტურებს იმას, რომ საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას ევროინტეგრაციის გზაზე აქვთ საერთო მიდგომები, რასაც მათი საერთო ისტორია და გამოწვევებიც განაპირობებენ. დაუშვებელია მესამე მხარის ჩარევა მათი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრაში. ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას ვერ ექნება ვეტოს უფლება აღნიშნული სახელმწიფოების ევროპულ პერსპექტივაზე. ამასთანავე, ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, შარლ მიშელის აქტიური მონაწილეობა ამ პროცესში მიაწინებს იმაზე, რომ ევროკავშირის სტრატეგიული

ინტერესია ხელი შეუწყოს რეგიონში განვითარებას, დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

პეტრას დეკლარაცია მნიშვნელოვანია „აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის“ თვალსაზრისითაც, სადაც „აღმოსავლეთის ტრიომ“ უფრო მეტად უნდა შეძლოს სამივე ქვეყნის ევროპული პერსპექტივის გამოკვეთა, განსაკუთრებით რეგიონალურ კონტექსტში. ეს კი საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას მისცემს ევროკავშირთან მეტი დაახლოებისა და ევროინტეგრაციის გზაზე ახალი ნაბიჯების გადადგმის შესაძლებლობას.

თუმცა აუცილებელია ყოველდღიურად გვახსოვდეს, რომ ევროინტეგრაციის გზაზე გასაკეთებელი ბევრია. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მექანიზმების განვითარება, მედიის თავისუფლების უზრუნველყოფა, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების გაგრძელება და დემოკრატიული ინსტიტუტების განმტკიცება. თანმიმდევრული რეფორმები ყველა საკვანძო მიმართულებით განაპირობებენ ევროკავშირის ინსტიტუტებთან მეტად დაახლოებას და საბოლოო ჯამში, ცივილიზაციური, ღირებულებითი არჩევანის მიღწევას ევროპულ ოჯახში წევრობით.

ამასთანავე, განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს ის ფაქტი, რომ უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ საქართველოში ვიზიტი ენგურის ხიდზე მისვლით დაიწყო და ამით გამოხატა მხარდაჭერა ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისადმი. ასევე, მან მიუთითა იმაზე, რომ საერთო საფრთხე ოკუპაციისა და ანექსიის სახით რუსეთის ფედერაციიდან მომდინარეობს.

ანი შანიძე, „ჯეოქეისის“ უმცროსი მკვლევარი

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 53-ე რაუნდი



2021 წლის 29-30 ივნისს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების 53-ე რაუნდი გაიმართა, სადაც განხილვის მთავარ თემებს წარმოადგენდა: ზაზა გახელიძისა და უკანონოდ დაკავებული საქართველოს დანარჩენი მოქალაქეების გათავისუფლება, რუსეთის მიერ დე-ფაქტო ანექსიის პროცესის გააქტიურება და სოფელ აიბლას ნაწილის უკანონოდ მიერთება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამწვავებული ჰუმანიტარული მდგომარეობა და ადგილობრივი მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, „ქართველმა მონაწილეებმა ამ კონტექსტში დააყენეს ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შესახებ გაფორმებული „პროგრამის“ ფარგლებში აფხაზეთის რეგიონის რუსეთში ინტეგრაციის მიმართულებით გააქტიურებული მუშაობა, აგრეთვე რუსეთის პრეზიდენტსა და სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერს შორის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნის საკითხის განხილვა“. ასევე, ქართულმა მხარემ ისაუბრა რუსეთის მხრიდან „ბორდერიზაციის“ პროცესის, ხელოვნური ბარიერებისა და მავთულხლართების აღმართვის შესახებ, გარდა ამისა, მიმდინარე „მილიტარიზაციის“, „მცოცავი ოკუპაციისა“ და საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევების შესახებ.

საქართველომ ორივე ოკუპირებულ რეგიონში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაციისა, ასევე, ეთნიკურად ქართველებისთვის განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უზრუნველყოფის შესახებ ისაუბრა.

საქართველოს დელეგაციამ ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წლის აპრილ-მაისში მდინარე ენგურში ოთხი მოქალაქის დახრჩობისა და კიდევ ერთი ადგილობრივი მაცხოვრებლის ხევში გადაჩეხვის ტრაგედიაზე. ამავდროულად, განაახლა დავით ბაშარულის, გიგა ოთხოზორიასა და არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საქმეებზე მართლმსაჯულების აღსრულების აუცილებლობის საკითხი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთის ფედერაციამ და მისი საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა ისევ სცადეს დევნილთა სახლებში დაბრუნების საკითხის პოლიტიზება და დისკუსიის მსვლელობისას კვლავ დატოვეს მოლაპარაკებები.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ სიტუაცია ადგილზე სტაბილური რჩება, და ოკუპირებულ აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან საქართველოს მიერ „დელიმიტაციის პროცესის“ სწრაფი დაწყება წინ წასწევდა ურთიერთქმედებას ამ მიმართულებით.

მოსკოვმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ რეგიონში მყარი და საიმედო უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეუძლებელია თბილისსა და ოკუპირებულ რეგიონებს შორის ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის გარეშე, რომლის მნიშვნელობაც კიდევ უფრო იზრდება შავი ზღვის რეგიონში ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ძალების კონცენტრაციის ფონზე.

სოხუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს დისკუსიების დროს, რომ უცხოური სახელმწიფოების მიერ აფხაზეთის საჰაერო სივრცის დარღვევა ხშირი და უკონტროლო გახდა. მათ ამგვარი ქმედებები თბილისის მიერ განზრახ განხორციელებულ პროვოკაციებად შეაფასეს.

მხარეებმა გალში 2018 წლის ივნისიდან შეჩერებული ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) აღდგენის პერსპექტივებზეც ისაუბრეს. თანათავმჯდომარეები კი მიესალმნენ IPRM-ის ერგენტის შეხვედრების ჩატარებასა და გალში ანალოგიური შეხვედრების აღდგენის საჭიროებას გაუსვეს ხაზი.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებმა კომუნიკე გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, „მონაწილეებმა რიგი საკითხები განიხილეს, მათ შორის, დაკავების შემთხვევები, გაუჩინარებული პირები, გადაადგილების თავისუფლება და გარკვეულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება“.

განცხადების თანახმად, მონაწილეებმა უსაფრთხოების მექანიზმებსა და ძალის არგამოყენებაზე ისაუბრეს და ჟენევის დისკუსიების პროცესის მიმართ მხარდაჭერა გამოხატეს. მხარეებმა ასევე განიხილეს პანდემიის ზეგავლენის შესამსუბუქებლად ერთობლივი ძალისხმევის განხორციელების შესაძლებლობები. განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ „დევნილთა და ლტოლვილთა მნიშვნელოვან საკითხზე დისკუსია ვერ გაიმართა“, რადგანაც „ზოგიერთმა მონაწილემ შეხვედრა დატოვა“. თანათავმჯდომარეებმა მხარეებს ნდობის დამყარებისა და „კონსტრუქციული თანამშრომლობისკენ მოუწოდეს“.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების შემდეგი რაუნდი 2021 წლის 12-13 ოქტომბერს დაიგეგმა.

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს დიალოგის მე-14 შეხვედრა გაიმართა



2021 წლის 6 ივლისს, ვიდეო-კონფერენციის ფორმატში გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე ევროკავშირი-საქართველოს დიალოგის რიგით მე-14 შეხვედრა. დიალოგის ფარგლებში, ისევე როგორც აქამდე, ღია და კონსტრუქციული დისკუსია შედგა საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობის და ასევე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვასა და ხელშეწყობაზე მიმართული ევროკავშირის პოლიტიკის ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ.

დიალოგის შედეგად, მათ ერთობლივად დაგმეს 5 ივლისს თბილისში მომხდარი ძალადობრივი თავდასხმები სამოქალაქო აქტივისტებზე, საზოგადოების წევრებსა და ჟურნალისტებზე, რის გამოც ლგბტიქ „ღირსების მარში“ იძულებით გაუქმდა. ეს თავდასხმები დაუშვებელია. მათ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ ხელისუფლების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ძირითადი უფლებების ეფექტიანი დაცვა ნებისმიერი დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს.

ევროკავშირმა და საქართველომ გაითვალისწინეს ამ უკანასკნელის დადასტურება ინციდენტების გამოძიების დაწყების თაობაზე და განიხილეს შემდგომი ძალისხმევის მნიშვნელობა სიძულვილის ენის, სიძულვილისა და შეუწყნარებლობისკენ წაქეზების აღსაკვეთად.

ბოლოდროინდელი მოვლენების გარდა, მხარეებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლებში დაბრუნების დაბრკოლებები, ასევე

კრემლის მიერ მხარდაჭერილი ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეების თვითნებური დაკავებები.

ევროკავშირმა 19 აპრილის შეთანხმების სრულად და დროულად განხორციელების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი, ასევე მოუწოდა საქართველოს, „გაზარდოს ძალისხმევა, რათა დასრულდეს დისკრიმინაციის ყველა ფორმა, მათ შორის, გენდერული და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე“.

მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ მონაწილეობენ დიალოგში, ძირითადად ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრები ევროპის გარე ქმედების სამსახურთან (EEAS) და საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან ადამიანის უფლებების შესახებ საქართველოში. სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული შეფასება ამტკიცებდა, რომ მიუხედავად ხელისუფლების მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯისა, პროგრესი რჩება „არათანაბარი“.

არასამთავრობო ორგანიზაციების თქმით, ყველა სფეროსთვის დამახასიათებელია ცვლილებების ფორმალური ხასიათი, „რეფორმები ტარდება, მაგრამ პრაქტიკული ცვლილებები ნაკლებად აისახება ბენეფიციარების კუთილდლეობაზე“.

სალომე ბლადაძე, „ჯეოჯესტის“ უმცროსი მკვლევარი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სრულად ვაქცინირებულებისთვის შეღავათებს აწესებს



კოვიდვაქცინის ორი დოზით აცრილი პირები იუსტიციის სამინისტროს სერვისების ნაწილს უფასოდ მიიღებენ, ნაწილს კი- ნახევარ ფასად. აღნიშნულის შესახებ განცხადებას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს. სამინისტროს განცხადებით, სრულად ვაქცინირებული პირები უსასყიდლოდ ისარგებლებენ იუსტიციის სამინისტროს შემდეგი სერვისებით: უძრავ ქონებაზე ამონაწერის განახლება; ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილება და შეწყვეტა. ხოლო 50%-იანი ფასდაკლება სრულად ვაქცინირებულთათვის იმოქმედებს შემდეგ სერვისებზე: ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებების შესახებ ცნობა; ID ბარათზე სერტიფიკატის განახლება.

აღსანიშნავი, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დაწესებული შეღავათების მიღება ორჯერადად ვაქცინირებულთათვის იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში წინასწარი ჯავშნის გარეშე იქნება შესაძლებელი.

საქართველოს იუსტიციის სახლმა კოვიდბარათების გაცემა დაიწყო

2021 წლის 17 აგვისტოდან დაიწყო იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში კოვიდბარათების უფასოდ გაცემა. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, კოვიდბარათის მიღება საქართველოს მასშტაბით უკლებლივ ყველა ფილიალშია შესაძლებელი. კოვიდბარათზე დატანილია და იუსტიციის სახლის შტამპით დამოწმებულია პირისთვის ჩატარებული სრული ან ნაწილობრივი ვაქცინაციის და ბოლო PCR კვლევის შესახებ ინფორმაცია, ასევე აცრის უნიკალური QR კოდი და პირადი მონაცემები.

აღნიშნული მომსახურების მიღება ვიზიტის წინასწარი დაჯავშნის გარეშეა შესაძლებელი. კოვიდბარათი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე გაიცემა, დოკუმენტის განცხადების წარდგენა უფასოა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, კოვიდბარათი აქტიურად იქნება გამოყენებული უცხოეთში. ევროკავშირთან სახელმწიფო უკვე მუშაობს, რომ ვაქცინირებულ პირთა შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო ბაზაში უახლოეს პერიოდში აისახოს, რაც მოქალაქეებს გაუმარტივებს მოგზაურობას, როგორც ბიზნესის, ისე ტურისტული კუთხით.